



# ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები საპილოტო მუნიციპალიტეტებს შორისაა



ევროპის საბჭომ პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ გამოაცხადა კონკურსი სამიზნე მუნიციპალიტეტების შესარჩევად. ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები შერჩეულ იქნა პროექტის 15 საპილოტე მუნიცი-

პალიტეტს შორის. შეხვედრა გაიმართა თბილისში, საერთაშორისო კონფერენცია სათათბირო დემოკრატიის შესახებ, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია თემატური პანელები არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო პრიორიტეტებზე.



# ხ ა ლ ი ო ნ ი

გურია
უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი    გ ა ზ ე თ ი .  
 ყოველკვირეული გამოშვება.    № 25 (10437) 27 სექტემბერი 2022 წ.    შასი 80 თეთრი.

## უამინდობამ ოზურგეთში პრობლემები შექმნა



**ალიონი.** გასულ პარასკევს, ქ. ოზურგეთში და რიგ სოფლებში უამინდობამ პრობლემები შექმნა. ადიდებულმა მდინარეებმა და ღელეებმა დატბორეს საკარმიდამო ნაკვეთები, გზები. დროებითი პრობლემები იყო ელექტროენერჯის მიწოდებაში.

ქალაქ ოზურგეთში დაიბორორა რამდენიმე ოჯახის ეზო და მე-3 საჯარო სკოლის ტერიტორია; ძლიერი ქარისა და წვიმის შედეგად, ნაკაშიძის ქუჩაზე წაიქცა ხე, რის შედეგადაც დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამის სამსახურებთან ერთად სტიქიისაგან მიყენებული ზიანის აღმოფხვრას შეუდგა. სამუშაოებში ჩაერთო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მომსახურების ცენტრი, მუნიციპალური ინსპექცია და ტექნიკა, გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჯგუფები და „ენერგო პრო ჯორჯიას“ თანამშრომლები.

ადგილზე იმყოფებოდნენ: ოზურგეთის მერის მოადგილეები - გიორგი ღურჯუაშვილი და ნიკა ბოლქვაძე, გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, მერაბ ჭანუყვაძე.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **გიორგი ღურჯუაშვილი** განაცხადა, ისინი საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ და დღის ბოლოსთვის უამინდობით შექმნილი პრობლემები აღმოფხვრეს.

## რატომ არის ოზურგეთში თხილის ყველაზე დაბალი ფასი?

**ალიონი.** წელს, თხილის მოსავალი მსოფლიოში მოხმარებას 15 პროცენტით აჭარბებს, რაც დაბალ ფასებს იწვევს. თხილის ფასზე საქართველოში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რუსეთ-უკრაინის ომმა, რადგან ორთავე ქვეყანა თხილის მთავარი ექსპორტიორები იყვნენ - ასე გვიხსნიან დარგის სპეციალისტები თხილის დაბალ ფასს. თუმცა ამ თემაზე ბევრი კითხვა არსებობს.

2022 წლის სეზონისთვის მსოფლიოში თხილის მთავარმა მწარმოებელმა თურქეთმა, სადაც თხილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემსყიდველია სახელმწიფო ორგანიზაცია TMO, თხილის ოფიციალური შესყიდვები 22 აგვისტოს დაიწყო და გულის 50%-იანი გამოსავლიანობის თხილის ფასი განსაზღვრა 52 ლირის ოდენობით, რაც 8,12 ლარის ეკვივალენტია. ბუნებრივად ფასები იზრდება და კლებულობს გულის გამოსავლიანობის შესაბამისად.

რა ხდება ამ დროს საქართველოში (ოზურგეთის მგალობითზე). ორიოდე კვირის წინ ბერძნულს ფასი 3-დან 3,5 ლარამდე მერყეობდა, თუმცა ამჟამინდელი მდგომარეობა სხვაგვარია.

გასულ შაბათს, დღით თხილის მიმღებ პუნქტებში თითქმის ცარიელი იყო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ცუდი ამინდი გახლდათ. თუმცა რამდენიმე ჩამარბული ენახეთ.

თხილის მიმღებ პუნქტებში მომუშავეების რეაქცია უზრუნველყოფს დანახვაზე - არ გადაგვიღოთ, კომენტარს ვერ გვაკეთებთ - იწყება.

-თხილის გულის გამოსავლ-

იანობა დაბალია -40 პროცენტს არ აჭარბებს, ამიტომ შესაბამის ფასს ვიხდით - გვითხრეს თაყაიშვილის ქ. №1-ში მდებარე თხილის მიმღებ პუნქტში.

ჩვენი იქ ყოფნისას ასაკოვანი ქალბატონი მოვიდა და დახლოებით 6-7 კილოგრამი თხილი მოიტანა.

-გულშიშველაა, თავად გადავარჩიე, კარგი თხილია - უთხრა თხილის ჩამარბულს.

-1,5-დან 1,8 ლარის ფარგლებში შეგვიძლია გადავიხადოთ თხილი არ უნასავთ, ისე უპასუხეს მას.

- რაი, ნენა. ლარ ნახევრად თხილს როგორ ჩავაბარებთ. ესაა საქმე - შეწუხებულმა უპასუხა და სწრაფად მოშორდა თხილის მიმღებ პუნქტს.

ასაკოვანმა ქალბატონმა აბოლონ წულაძის ქუჩაზე კიდევ ერთ მეთხილეს მიაკითხა, იქედანაც სწრაფად წამოვიდა და ავტოსადგომში შევიდა, სოფელ თხინვალში მიმავალ მიკროავტობუსში ავიდა.

გასაუბრებაზე უარი მითხრა: -მეინი მისპო, გლუხს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ - იწყებდნენ იგი.

ჩვენს მიმართ უარყოფითი რეაქცია მიკროავტობუსში მჯდომმა მორე ქალბატონმაც გამოხატა.

- დავცინით, რომ მოგვით კომენტარი, თხილის ფასს მოუმატებთ? ესაა მთავრობა, შეცდომები ბევრი კი ჰქონდა, მაგრამ მიზს დროს ამას ვაბედავდნენ?... ადრე მოწინავე მზავე ვიყავი, ჩვენს შრომას დაფასება ჰქონდა. დღეს ასე რატომ ეძვეიან გლეხებს? ვერ ხედავენ რამდენი სახლი დაიკეტა სოფელში,



უცხოეთში გაიკრიფა ქართველობა. - ამბობდა იგი...

თხილის ჩამარბულებიდან, მხოლოდ რკმ გააკეთა კომენტარი გაზეთ „ალიონთან“:

- დაბალი ფასება, მაგრამ ამას მიზეზები აქვს. პირველი ის არის, რომ შარშან თხილზე შედარებით დაბალი ფასი იყო. წელს ფერმერებმა პლანტაციებს ისე არ ეპატრონენ, როგორც შარშან და ძლიან დაბალი ზარისხის თხილია. ვინც ეპატრონა, იმით შედევი უკეთესი აქვთ. თხილის გამოსავლიანობის მიხედვით ერთ კეკალ თხილში 45 თეთრს ვიხდით, თუმცა 10 კეკალ „ბერძნულაში“ 7-8 კეკალზე მეტი სალი თხილი არ გამოდის, ამიტომ მაქსიმალური ფასი 3,6 ლარია; მეორე: -რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვნად იმოქმედა ექსპორტზე; მესამე - წელს დაქირავებულმა მუშა-ხელმა ძალიან ანაზღაურება მოითხოვა და გლეხები თავად იღებდნენ მოსავალს, ეს კი დიდ დროს ითხოვს. ამ წვიმებამაც იმოქმედა, სექტემბერში პლანტაციები არ შეიწამლა,

გამოსავლიანობა ძალიან დაბალია და ვიზუალური სიღამპლე დასაშვებზე ბევრად მეტად - გვითხრა რკმ.

კიდევ ერთმა თხილის მიმღები პუნქტის ჩამარბულმა თმ გამოხატა თავისი გულ-ისტკვიელი: - ჩვენ ცუდ დღეში ვართ. ოზურგეთში თხილის ჩამარბების უფრო დაბალი ფასება, ვიდრე ქობულეთში, ქუთაისში, ლანჩხუთში. იქ მიდიან სამეგრელოს თხილის ქარხნებიდან და გაცილებით მეტს უხდიან. აქ კი ვინ აკონტროლებს თხილის ბაზარს, გაურკვეველია.

რაც მათი კომენტარებიდან მნიშვნელოვანია, ბევრი ფერმერი, რომელსაც სხვებთან შედარებით უფრო კარგად უვლის პლანტაციას, შედარებით უკეთესი ზარისხის თხილი მოჰყავს, ყველაზე მეტად იჩაგრება, რადგან მათ თხილშიც იგივე, საშუალო ზარისხის თხილის ფასს უხდიან.

თუ რატომაც ოზურგეთში, თხილის ყველაზე დაბალი ფასი? ვინაა ამასი დამნაშავე - ამ კითხვებზე მოსახლეობა პასუხს ითხოვს.

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთუთი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
**რედაქტორი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani15@gmail.com  
 558 499100  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია „ალიონით“

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები ლანჩხუთში



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის 12 სოფელში მასშტაბური პროექტი ხორციელდება, რომლის დასრულების შემდეგ 2000 - მდე ოჯახი 24 საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან ალექსანდრე სარიშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზების დეპარტამენ-

## სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტში გამარჯვებულები ცნობილია



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ წელს გამოაცხადებულ კონკურსში გამარჯვებული იდგები ცნობილია. პირველ ადგილზე, ხმათა უმრავლესობით გავიდა იდეა: „მაშინვე დაფუძნებული უფასო სკრინინგ პროგრამის დაწესება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის“ ღირებულება: 35 000; ავტორი: სალომე გუდავაძე. მეორე ადგილზე ხმების რაოდენობის მიხედვით გამარჯვდა იდეა: „საფეხურით მოედანი დაბის ცენტრში“ ღირებულება: 50 000 ლარი ავტორე-

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩოხატაურში



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **მზა გიორგობიანი**, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ**, მოადგილესთან ერთად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ**, საკრებულოს თავმჯდომარემ **ირაკლი კუჭავამ** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დათვალიერეს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო რევიზიის ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: მდინარე ორბარის კადასტრის და მიმდებარე რეკონსტრუქციის ხონის მოწოდება; გორბარეჯოლის ტყე-პარკის აღდგენა;

## ბავშვთა და სასკოლო სპორტის ფედერაციის წარმომადგენლებთან უხვპერა ბაიბართა



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდა. საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კონსტანტინე ამირაჯიბმა, შეხვედრაში მონაწილეებს სასკოლო სპორტის განვითარებისკენ მიმართული პროგრამები გააცნო. 23-30 სექტემბერს საქართველოში

**სილაგაზის სალონი „მაკრატელი“**  
 ბთაგაზოპტი:  
 თმის შიშვრა, დაპარცხნა, შეღებვა, კერატინით დასწორება, თმის დახვევა, ომბრე, მელირება; მაკიაჟი, წარბის კორექცია; მანიკიური, პედიკიური, შილაკი; ყურის გასწორება; ცვილით ეპილაცია; მის: ქ. ოზურგეთი; აპ. ჭულაძის ქ. 6 (ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორია)



# ლანჩუთში, სოფელ სუფსაში, თევზის ფესტივალი გაიმართა



22 სექტემბერს, მდინარე სუფსაზე შევიდნენ სპორტული თევზაობის გაიმართა.

ფესტივალის ორგანიზატორის **ია მოქიას** თქმით, ღონისძიება მდინარე სუფსის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა, ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის განვითარებას და იგი მომავალშიც გაიმართება.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ნაწარმი, მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

ამავე დროს მდინარე სუფსაზე სპინინგით თევზჭერის ტურნირი გაიმართა, გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ჩატარდა სპორტული თევზჭერის მასტერკლასი.

კონკურსის „თევზის ფესტივალის“ /ისპ/ ესტეფალ ლოგოს“ გამარჯვებული ადგილობრივი **ნინო ზამაშურიძე გახდა**, მას გამარჯვება მოულოცა და საჩუქრები გადასცა ჟურნალისტმა ლალი მორიშვიანმა.

ღონისძიება კონცერტით დასრულდა, რომელშიც, როგორც ადგილობრივი შემსრულებლები, ისე მუსიკალური ბენდი „why not/რატომაც არა“ მონაწილეობდა.

ფესტივალის შესახებ გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი გააკეთა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა **ნინო მშვილდვაძემ**:

—ძალიან ლამაზი ფესტივალი ჩატარდა, რომლის ორგანიზატორები

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია და ლალი მორიშვიანი იყვნენ.

ამხლი დაგვეხმარა და მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდა მდინარე სუფსაზე ნავით გაესეირნათ, გაიმართა შევიდნენ დავიდეზინების ადგილობრივი თევზის ნაირსახეობა. გურული ვაზის სხვადასხვა ჯიშისგან დაწურული ღვინო, თაფლის ნაწარმი და ა.შ. ძალიან საინტერესო კონკურსი ჩატარდა სპორტული თევზჭერის ფესტივალის ლოგოს შესაქმნელად. კონკურსში **ზურაბ დარსაგელიძის** ნაბუშ-ეგარმა გაიმარჯვა. ასევე საინტერესო გახლდათ თორნიკე კობალიანის და რევაზ ჩხაიძის ნაბუშეგრები.

საინტერესო დღე მუსიკალური ბენდის კონცერტით დასრულდა. ფესტივალი მომავალშიც გაიმართება— ვითხრის ნინო მშვილდვაძემ.

თევზის ფესტივალს სახელმწიფო რწმუნებულის გურიის მხარეში მოადგილე **ქეთი მისწრაფიშვილი**, ლანჩუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და ბლოგერები ესწრებოდნენ.



## ბახვი ჰესის ტრენინგ მოდული უფროსკლასელთათვის მთისპირსა და ჩხაკაურაში დაიწყო



2022 – 2023 სასწავლო წლისთვის შპს ბახვი ჰესმა მოსახლეობასთან შეთანხმებული სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, არაფორმალური სახის სასწავლო ტრენინგ კურსის პროგრამა განახლდა. საიხლავა ის ფაქტი, რომ პროგრამა 2022 წლის შემოდგომიდან არა მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლაში, არამედ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩხაკაურას ახლადგახსნილ საჯარო სკოლაშიც ტარდება. ტრენინგი უფროსკლასელთათვის, კერძოდ 9,10,11,12 კლასების მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი და მიზნად ისახავს ბავშვებში ცნობიერების ახდლებას გარემოს დაცვით საკითხებში, ასევე, ცოდნის გაზიარებას განახლებადი ენერჯის წყაროების შესახებ და ინფორმაციის მიწოდებას პროფესიულ ორიენტაციის საკითხების ირგვლივ, რათა უფროსკლასელებმა იცოდნენ რომელი პროფესიაა დღესდღეობით მოთხოვნილი და რა არჩევანი აქვთ, როცა იღებენ გადაწყველებას იმის შესახებ, თუ რომელ ფაკულტეტზე

ზე გააგრძელონ სწავლა.

ბახვი ჰესის საგანმანათლებლო პროგრამა 1 წლიანია და მოიცავს 8 შეხვედრას, მათ შორის ერთ ექსკურსიას. შეხვედრები თვეში ერთხელ ჩატარდება. გარემოს დაცვით საფუძვლებსა და განახლებადი ენერჯის მოდულს წარუძღვება გიორგი ბერეჟიკიძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი; პროფესიული ორიენტაციის შესახებ ისაუბრებს ქეთევან ლობჯანიძე, ფსიქოლოგი. „ისიათ“ ჯგუფის დამფუძნებელი და დ მენჯეკერი. პროფესიული ორიენტაცია განსაკუთრებით საჭიროა უფროსკლასელთათვის და მიზნად ისახავს აბიტურიენტების დახმარებას, რათა მათ შეძლონ მომავლის პროფესიის სწორად შერჩევა; კომუნიკაციების შესახებ შეხვედრას ჩატარებს სათუნა იოსავა, საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი, კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი 2015 წლიდან. კომუნიკაციის ლექციის

ფარგლებში, ახალგაზრდები ბევრს გააგებენ მედიაზე და მის როლსა და ფუნქციაზე საზოგადოებაში, ასევე, ისწავლიან როგორ განასხვავონ ნამდვილი და „ფეიკი“ ანუ გამოვლინილი, გაყალბებული ამავე ერთმანეთისგან.

ჩვენი საგანმანათლებლო პაკეტის მიმდინარეობის შემაჯავებელია ტრენინგ კურსი, რომელიც შარშან მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელებს ჩაუტარეთ. ჩვენ დანაპირები შევასრულეთ და წელს სოფელ ჩხაკაურას საჯარო სკოლაზე ჩართეთ ამ პროგრამაში.

ვეფიქრობ, უფროსკლასელებს მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იქნება ამ კურსის მოსმენა. ბავშვები ბევრს სახლზე გაიგებენ როგორც გარემოს დაცვაზე, ასევე განახლებადი ენერჯისა და მათ მნიშვნელობაზე, რა დადებითი ფაქტორები აქვს ეკომეგობრული გენერაციის ობიექტების მშენებლობას და ზოგადად ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას სოფლებსა თუ რეგიონებში. დღეს, ჩვენ უკვე შეგვიძლია გამოვიძლიებოთ ვისაუბროთ და შემიძლია ვთქვა, რომ წინა სემესტრის კურსით ფრიად კმაყოფილები იყვნენ როგორც ბავშვები, ასევე მათი პედაგოგებიც. იმედია, წელსაც საინტერესოდ ჩაივლის სწავლება და ახალგაზრდა თაობას ბევრი რამ დაამახსოვრდება ჩვენი ტრენინგების ლექციებიდან, აქ გაგონილს და ნასწავლს კი გამოიყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში“ — განაცხადა ბახვი ჰესის დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა.

ბახვი ჰესი მდინარე ბახვისწყლის ხეობაში ბახვი 1 და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურების განმავითარებელი კომპანიაა. ბახვი 1 ჰესის პროექტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მხარიჭა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებართვა. ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგური კი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მზადების ეტაპზეა.

## ბურიაში მშენებლის სივრცე გაიხსნა



გურიის რეგიონის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მედიაციის სივრცე აქვს. ოფისი დანამულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა **ლალი ხელაძემ** მონახულა. ადგილზე მედიაციის პროცესის საჭიროებები სრულად არის გათვალისწინებული. მხარეებისთვის უზრუნველყოფილია კომუნიკაციისა და მოლაპარაკების წარმოების ყველა პირობა.

ამ დრომდე რეგიონში მედიაციის სივრცე არ არსებობდა, რის გამოც პროცესის წარმართვისთვის ალტერნატიული ფართის მოძიება ხდებოდა საჭირო. მედიაციის ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვანი **თინათინ ზედინიძის** თქმით, სათანადოდ აღჭურვილ სივრცეში მედი-

ტორებს დაკისრებული მოვალეობის შესრულება გაუმარტივდება.

ამ დროისთვის მედიაციის სივრცეები თბილისში, ქუთაისში, ხაშურსა და ოზურგეთში მოქმედებს; წლის ბოლომდე კი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში გაიხსნება.

დანამულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი თანამშრომლებსაც გაეცაურა, სისტემაში დაგეგმილი სახსრები გააცნო და მათ საჭიროებებზე ინფორმაცია მიიღო. მედიაციის მიზანი არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განადგობა, გათავისუფლების ფორმა და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია.

## ინფორმაცია გომისმთაზე სახლების დაზარალების შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება



სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს კურორტ გომისმთაზე უნებართვოდ აგებულ საავარაკო სახლებს ანგრევენ. გაზეთი „ალიონი“ დაბა გომის-

მთის მცხოვრებს **მერაბ სანიკიძეს** დაუკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ ტრაქტორით მხოლოდ ჩაბეტონებული ბოძები მოთხარეს, სახლებს არ შეხებია.









# მარო მაყაშვილის დღიური



20 სექტემბერს, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საექტაკლო „მარო მაყაშვილის დღიური“ იქნა წარმოდგენილი.

ქართულ სცენაზე პირველად თავისუფლების, პატრიოტიზმის, თანასწორობისა და ყველა კეთილშობილი იდეალისთვის თავგანწირული ადამიანის მარო მაყაშვილის ჩანაწერების სცენური ვერსია რეჟისორ გონა კაპანაძეს

განცდები და იმდროინდელი საქართველოს ყოველდღიურობის სცენები ენაცვლება, 19 წლის მაროს ჩანაწერებში, მის ემოციებსა და მომავალზე ფიქრებში ქვეყნის ისტორიული ეპოქა იკითხება.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მსხვერპლი, 19 წლის მარო მაყაშვილი, პირველი ქართველი ქალია, რომელსაც ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

ეროვნული გმირი, მოწყალების და მარო მაყაშვილი თავისუფლების, პატრიოტიზმის, თანასწორობის და საერთოდ, ყველა კეთილშობილი იდეალისთვის თავგანწირული ადამიანის სიმბოლოდ იქცა.

საექტაკლოში მონაწილეობენ მსახიობები: თამარ გოგიტიანი, გელაძე, დალი დოვაჯაშვილი, თინათინ კობლაძე, მადონა ტენური, ანა ხურციბაძე.

საექტაკლის მხატვარია ლომი გულ მურუსიძე.

საექტაკლის შემდგ რეჟისორ **გონა კაპანაძეს** ვესაუბრეთ:

— მადლობა ოზურგეთის თეატრს და მის მფარველებს გულთბილი მიღებისათვის. მადლობა

თვალწინ დავვიდვარ.

სიმბოლოა, როცა წეროვებზე კითხულობს მსახიობი ლექსს, აქამდე არ გააღებულა. ეს არის მარო მაყაშვილის ლექსი და იგი ავტორს უნდა დაუბრუნდეს თავისი სახელითა და გვარით.

ძალიან ბევრი აღმოჩენა გააკეთეთ სცენარზე მუშაობისას და მინდა მადლობა ვუთხრა მსახიობებს რომლებმაც ის იდეა, რაც ახლოა ჩემთვის სიმბოლო თავისუფლების, სიმბოლო ოცნების და თავშეწირულობის კარგად გაითავისეს და მიიტანეს მყარუბლამდე.

ძალიან ბევრი აღმოჩენა გააკეთეთ სცენარზე მუშაობისას და მინდა მადლობა ვუთხრა მსახიობებს რომლებმაც ის იდეა, რაც ახლოა ჩემთვის სიმბოლო თავისუფლების, სიმბოლო ოცნების და თავშეწირულობის კარგად გაითავისეს და მიიტანეს მყარუბლამდე.



# ბარემო, რომელიც უყვარს ბავშვებს



ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №4 საბავშვო ბაღი 1982 წელს გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს ვესწრებოდი და აქედან მოყოლებული ვიცნობთ და ვხვდებით ბაღის მენეჯერის მარიკა ლლონტის საქმიანობას. ეს ბაღი ხომ ერთ-ერთი მოწინავეა მუნიციპალიტეტის ბაღებს შორის და ამიტომ აქედან ვადავალეთ თვალი ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების მიერ გაწეულ მუშაობას.

ივნისის ბოლოს სასწავლო წლის დამთავრებისას გამართა აღმზრდელთა ნამუშევრების გამოფენა დღეებით — „მშენებლების დღეებში“, რომელშიც მონაწილეობდნენ 2-3, 3-4 და სასკოლო მზაობის ჯგუფები „გვირილები“, „მტრედები“, „ციხარტყელა“, „ფუტკრები“. ძალიან მოგვეწონა ბაღის მენეჯერი — ლალი ჩანტლაძის „გარდენია“.

ახალი სასწავლო წლის

ასევე ბაბანი, ფრანგული ორცხობილა, ოლაღები, იოგურტი — რაც მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის. მენიუ ყველა ბაღისთვის ერთნაირია. რა თქმა უნდა უმკაცრეს კონტროლზეა საკვების გამოყენების ვადები. აქვე უნდა ვთქვა, რომ ასევე ხარისხიანია ჰიგიენის საშუალებები — გვითხრა **მარიკა ლლონტმა**.

— ჩვენ ვხელმძღვანელობთ ძირითადად ახალი ჩვევების პროგრამით, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ბავშვებში ჰიგიენის და თავის მოვლის უნარების ჩვევების ჩამოყალიბებას. სასწავლო სტრატეგიებში ასევე ვხელმძღვანელობთ მეთოდური სახელმძღვანელოთ 2-დან 5 წლამდე შერეული ასაკის ჯგუფებისათვის.

ძალიან მნიშვნელოვანია გარემო, რომელიც უყვარს ბავშვს. მეთოდურად ვეხმარები პედაგოგებს, როგორ უნდა



მოაწყონ იგი, როგორ უნდა შეიქმნას ბავშვზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემო, განმარტოების კუთხე...

ასევე მოწყობილია სათამაშო სივრცე, სადაც ხდება თამაშის სწავლება, მათემატიკის სივრცე, სადაც პატარები პირველ ნაბიჯს დგამენ მათემატიკაში, საშხარეო სივრცე. ადრე იყო თემატური სწავლება — გვითხრა ბაღის გამოცდილმა მეთოდისტმა **ნაილი გრბელიძემ**.

ნაილი გრბელიძის თქმით, ბაღში შექნილია მშობელთა საბჭო, ყველა ჯგუფში მოწყობილია მშობელთა კუთხეები „ოქვენთვის მშობლებო“. ბაღის ამზრდელები მუდმივ კონტაქტში არიან მშობლებთან.

იდეალური სისუფთავეა ბაღში. კარგი ეზოც აქვთ, სადაც ჩემი იქ ყოფნისას უმცროსი ასაკის ჯგუფის აღსაზრდელთა თანამშობდნენ, იქვე რამდენიმე მშობელიც იმყოფებოდა.

მუსიკის პედაგოგს **ნანა ქილიფთარს** ვაკვირდები და პატარებისთვის. აქედან იწყება ხელოვნების სიყვარული და ნანა მასწავლებელი კარგად ართმევს ამას თავს.

მენეჯერმა და მეთოდისტმა თანამშრომელმა **ნანა კეკელიძის** შესახებაც გვესაუბრნენ.

— ხომ მოგწონთ ბაღის ეზო-მიდამო — ეს ყველაფერი ნანა კეკელიძის დიზაინითაა — გვითხრეს მათ.

— სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მუნიციპალიტეტის ბაღებში 19 სექტემბერს განახლდა. მხოლოდ სამ ბაღში (ნასკარალი, ნავომარი, მზიანი) მასშტაბური სარემონტო სამუშაოების გამო სასწავლო პროცესის დაწყება გადაიდო.

სკოლამდელი აღზრდის ცენტრი და საბავშვო ბაღები მომზადებული შეხვდა სასწავლო წლის დაწყებას.

მოწესრიგდა საბავშვო ბაღების ეზოები და შენობები,



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

|                         |                         |                         |                                    |                         |                         |                         |
|-------------------------|-------------------------|-------------------------|------------------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|
| <b>მზიანი</b><br>+11+24 | <b>მზიანი</b><br>+14+27 | <b>მზიანი</b><br>+13+28 | <b>მზიანი, ღრუბლიანი</b><br>+13+25 | <b>მზიანი</b><br>+14+25 | <b>მზიანი</b><br>+13+24 | <b>მზიანი</b><br>+13+24 |
| 26 სექტემბერი ორშაბათი  | 27 სექტემბერი სამშაბათი | 28 სექტემბერი ოთხშაბათი | 29 სექტემბერი ხუთშაბათი            | 30 სექტემბერი პარასკევი | 1 ოქტომბერი შაბათი      | 2 ოქტომბერი კვირა       |